სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/28

ქ. თბილისი 24 ივლისი 2026

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2026 წლის 23 ივლისის №0000969338 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 29 ივნისის №01-05-04/85 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეიქმნას უნივერსიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული: „გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტი“;
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის დებულება (იხ. დანართი 2);
3. გლობალური აკადემიური ჩართულობისა და ინსტიტუციური ცნობადობის დეპარტამენტის შექმნასთან დაკავშირებული მოთხოვნილი ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში (იხ. დანართი 1);
4. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აგვისტოდან;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**